ლექსიკა

მოსწავლე _____

წაიკითხე თითოეული წინადადება. ყოველი წინადადების ქვეშ მოცემულია სამი სავარაუდო პასუხი (ა, ბ, გ).

შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

პირველი მაგალითი:

მხდალი კურდღელი დათვის დანახვისთანავე ბუჩქებში მიიმალა. ამ წინადადებაში სიტყვა **მხდალი** ნიშნავს:

ა) მორცხვს ბ) მშიშარას გ) სწრაფს

უნდა შემოხაზო პასუხი **ბ) მშიშარას**, რადგანაც ამ წინადადებაში სიტყვა მხდალი მშიშარას ნიშნავს.

მეორე მაგალითი:

ფუტკარი ზუზუნებს, ცხენი _____ .

ა) ყროყინებს ბ) ჭიკჭიკებს გ) ჭიხვინებს

უნდა შემოხაზო პასუხი **გ) ჭიხვინებს**.

გამოტოვებული სიტყვა წინადადებაში არ ჩაწერო, მხოლოდ შემოხაზე შერჩეული სიტყვა.

---

1. მეფის **მოციქულებმა** მშვიდობით გადაიარეს რაჭის მთები.
   აქ სიტყვა <u>**მოციქულები**</u> ნიშნავს:

   ა) ვეზირებს. ბ) მრჩევლებს. გ) შუამავლებს.

2. დიდედას **ამაგი** ყოველთვის ახსოვდათ შვილიშვილებს. აქ სიტყვა <u>**ამაგი**</u> ნიშნავს:

   ა) რჩევას. ბ) სითბოს. გ) ღვაწლს.

LIVEWORKSHEETS

3. ქალაქის ახალ მოედანს **უნაკლო** ქანდაკება ამშვენებს. აქ სიტყვა **უნაკლო** ნიშნავს:

ა) მაღალს. ბ) სრულყოფილს. გ) უცნაურს.

4. რაზმების მეთაურთა **იდუმალი** შეხვედრა ღამით შედგა. აქ სიტყვა **იდუმალი** ნიშნავს:

ა) მნიშვნელოვანს. ბ) საგანგებოს. გ) საიდუმლოს.

5. მოხუცი ეზოში იჯდა და სიამოვნებდა იმერეთის **ნამიანი** ჰაერი.
აქ სიტყვა **ნამიანი** ნიშნავს:

ა) თბილს. ბ) ნოტიოს. გ) ცხელს.

6. რატი იმდენს **ელაქუცა** ბებოს, რომ მაინც გამოსტყუა ჩურჩხელა.
აქ სიტყვა **ელაქუცა** ნიშნავს:

ა) ეფერა. ბ) ეწუწუნა. გ) ეხვეწა.

7. მეციხოვნეების უყურადღებობამ მტერი **წააქეზა**. აქ სიტყვა **წააქეზა** ნიშნავს:

ა) გააოცა. ბ) მოატყუა. გ) შეაგულიანა.

8. – ეს პატარა მდინარე როგორ ვერ უნდა გადავლახოთ! - **ომახიანად** შეუძახა ირაკლიმ მეგობრებს. აქ სიტყვა **ომახიანად** ნიშნავს:

ა) მხიარულად. ბ) რიხიანად. გ) ხალისით.

9. **ღორღიანი** შეიძლება იყოს:

ა) გზა. ბ) კედელი. გ) წყალი.

10. სადმე მოხერხებულად მოთავსება არის:

ა) დაბუდება. ბ) მოკალათება. გ) ჩასახლება.

11. დაასრულე წინადადება:
ჩირის გასაკეთებლად ბებომ ქლიავს გამოაცალა ..... .

ა) თესლი. ბ) კურკა. გ) წიპწა.

12. შეარჩიე სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია წინადადებაში:
გლეხებმა მოსავალი დროულად აიღეს და ..... დააბინავეს.

ა) პროდუქტი. ა) ჭირნახული. გ) ხორაგი.

13. შეარჩიე სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია წინადადებაში: ყოველ დილით ნიკო ჯანმრთელობის ..... მიზნით ტანს ცივი წყლით იბანს.

ა) გაკაჟების. ბ) გამაგრების. გ) გამყარების.

LIVEWORKSHEETS

14. გლეხმა ბლომად მოაგროვა ფიჩხი და **ილაჯგაწყვეტილი** ჩამოჯდა კუნძზე. რომელია ხაზგასმული სიტყვის სინონიმი?

ა) დაღლილი. ბ) კმაყოფილი. გ) მოწყენილი.

15. რას ნიშნავს ფრაზეოლოგიური გამოთქმა **თვალი მოავლო**?

ა) მიმოიხედა. ბ) მოიკითხა. გ) მოისაკლისა.

16. რას ნიშნავს ფრაზეოლოგიური გამოთქმა **ყური მოჰკრა**?

ა) გულისყურით მოისმინა.
ბ) ყველაფერი გაარკვია.
გ) შემთხვევით გაიგონა.

17. რატი ბებოს ყველაფერზე **კვერს უკრავდა** და გულში კი ეცინებოდა. **კვერს უკრავდა**, ანუ:

ა) ეალერსებოდა. ბ) ეთანხმებოდა. გ) ეხმარებოდა.

18. საქათმესთან ჩასაფრებულ მელას **თვალში მოუვიდა** მსუქანი დედალი. **თვალში მოუვიდა**, ანუ:

ა) დაესიზმრა. ბ) მოეჩვენა. გ) მოეწონა.

LIVEWORKSHEETS